რესურსის სათაური	**ადამიანის უფლებები - სიცოცხლის უფლება, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (შემთხვევები)**
ავტორი/ავტორები	*ნინო გვარამაძე*
სამიზნე აუდიტორია	**საბაზო საფეხურის მოქალაქეობის მასწავლებლები**
პრაქტიკული გამოყენება	**ადამიანის უფლებების სწავლება საბაზო საფეხურზე**
რესურსის ტიპი	**სავარჯიშო**
მიზანი	**მოქალაქეობის მასწავლებელთა დახმარება საბაზო საფეხურზე ადამიანის უფლებების სწავლებაში**

მასწავლებელს შეუძლია, მოცემული რესურსი ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის სწავლებისას გამოიყენოს.

პირველი ორი შემთხვევა ეხება ადამიანის სიცოცხლის უფლებას (ევროპული კონვენცია , მუხლი 2), ხოლო მესამე და მეოთხე - თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას (ევროპული კონვენცია მუხლი 5).

შემთხვევებზე მუშაობის დროს მიეცით მოსწავლეებს საშუალება, გამოიყენონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0

1. *გააცანით მოსწავლეებს შემთხვევა*

2000 წლის ივლისში, წინასწარი დაკავების დროს, Bois-d'Arcy ციხის საკანში თავი ჩამოიხრჩო პირმა (გვარად რენოლდმა), რომლის შესახებ ცნობილი იყო, რომ ჰქონდა სერიოზული ფსიქიკური აშლილობა.

დაუსვით კითხვები მოსწავლეებს:

- დაირღვა თუ არა დაკავებული პირის რაიმე უფლება?
- თუ დაირღვა, რომელი და როგორ?

მსჯელობის შემდეგ გააცანით განმარტება:

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეიტანა ელენ რენოლდმა, რომელიც ჩიოდა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ არ მიიღო აუცილებელი ზომები მისი ძმის სიცოცხლის დასაცავად.

2006 წელს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-2 მუხლის დარღვევას საქმეში რენოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, როდესაც ცნობილია პატიმრების სერიოზული ფსიქიკური აშლილობისა და თვითმკვლელობის რისკის შესახებ, საჭიროა მის მდგომარეობაზე მორგებული სპეციალური ზომების გამოყენება.

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები დაკავებულთა სიცოცხლის დასაცავად.

2. *გაცანით მოსწავლეებს შემთხვევა.*

2000 წელს ქალაქ ტირნაუზში, რომელიც მდებარეობს იალბუზის მთის მიმდებარე მთიან რაიონში ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში (რუსეთი), ძლიერმა ღვარცოფმა დაანგრია საცხოვრებელი სახლები და ხიდი. 1937 წლიდან, ამ მხარეში ღვარცოფები ყოველწლიურად აღირიცხებოდა განსაკუთრებით ზაფხულში.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა საქმე - ბუდაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ.

საქმე ეხებოდა ტირნაუზის 6 მცხოვრების ბრალდებებს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ:

- ხელისუფლებამ ვერ გაითვალისწინა გაფრთხილებები მასშტაბური ღვარცოფის ალბათობის შესახებ 2000 წ;
- ვერ მოახერხა ადგილობრივი მოსახლეობის გაფრთხილება, ევაკუაცია და სასწრაფო დახმარება;
- სტიქიის შემდეგ არ მოხდა სასამართლო გამოძიება.

დაუსვით მოსწავლეებს კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, სამართლიანი იყო თუ არა მომჩივანთა ბრალდებები?
- არის თუ არა ადამიანის უფლებათა დარღვევები?
- თუ არის ადამიანის უფლების დარღვევა, რომლის?

მსჯელობის შემდეგ გაცანით განმარტება:

2008 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას საქმეში ბუდაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ.

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები გარემოსდაცვითი საფრთხეებისაგან ადამიანთა ჯანმრთელობის დასაცავად.

3. *გააცანით მოსწავლეებს შემთხვევა.*

2004 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე - ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ.

თენგიზ ასანიძე ადრე იყო ბათუმის ყოფილი მერი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი. განმცხადებელი სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში პატიმრობაში იმყოფებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2001 წელს მისი გამამართლებელი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

დაუსვით მოსწავლეებს კითხვები:

- რა ჰქვია ასეთ პატიმრობას? *(უკანონო პატიმრობა)*
- ევროპული კონვენციის რომელი მუხლის დარღვევა იკვეთება?

მსჯელობის შემდეგ გააცანით განმარტება:

საქმე ეხება უკანონო პატიმრობას. 2004 წლის აპრილში სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ იყო მე-5 მუხლის დარღვევა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი თვითნებურად დააკავეს და რომ საქართველოს სახელმწიფოს, რაც შეიძლება მალე უნდა გაეთავისუფლებინა იგი. ეს იყო სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ მოითხოვა სახელმწიფოსგან განმცხადებლის რაც შეიძლება მალე გათავისუფლება.

4. *გააცანით მოსწავლეებს შემთხვევა.*

1996 წელს რობერტოს მიესაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა რიგი ძარცვისა და მანქანის ქურდობისთვის. მანამდე ის ექვსი თვით პატიმრობაში იმყოფებოდა. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ, ის გადაიყვანეს ციხეში სასჯელის მოსახდელად. რობერტო ჩივის, რომ მისი წინასწარი პატიმრობა იყო უკანონო. გარდა ამისა, ის იმ პირობებს აკრიტიკებს, რომელშიც იმყოფებოდა, რასაც დამამცირებლად მიიჩნევს. ასევე ამტკიცებს, რომ მის მიმოწერას, მისთვის გადაცემამდე, ხსნის და კითხულობს ციხის ხელმძღვანელობა.

დაუსვით მოსწავლეებს კითხვები:

- დაირღვა თუ არა რობერტოს ფუნდამენტური უფლებები?
- თუ ასეა, რა უფლებები?
- ევროპული კონვენციის რომელი მუხლების დარღვევისთვის შეიძლება მიმართოს რობერტომ სასამართლოს?

შენიშვნა მასწავლებლისთვის

აქ შესაძლოა, გამოიკვეთოს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების აუცილებლობა (მუხლი 8).